კონკურსის პროგრამა და პირობები

1. კონკურსის მიზნები:
   - კონკურსის მიზანია ქალაქ ქუთაისში მეწარმეთა სტიმულირების, სამეწარმეო აქტივობის ზრდის, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების, ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაციის, საზოგადოებაში ცნობადობის ამაღლების, ბიზნესში ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მხარდაჭერა.
2. კონკურსში მონაწილეობის პირობები:
   - კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ყველა სამეწარმეო პირს, რომლებიც „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ მე-2 მუხლის შესაბამისად რეგისტრირებულია ქალაქ ქუთაისში, თუ წინამდებარე კონკურსის პირობების რომელიმე პუნქტით გათვალისწინებული კონკრეტული საკონკურსო ნომინაციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
3. საკონკურსო პროცედურა და ვადები:
   - კონკურსი ტარდება დისტანციურ რეჟიმში;
   - სრულყოფილად შევსებული საკონკურსო განაცხადი (დანართი 2) წარმოდგენილი უნდა იქნას ელექტრონული ფორმით შემდეგ ელ.ფოსტაზე: economic.kutaisi@gmail.com
   - საკონკურსო განაცხადი ხელმოწერილი და დადასტურებული უნდა იქნას მეწარმე სუბიექტის/ხელმძღვანელის მიერ.
   - საკონკურსო განაცხადი მიიღება **2019 წლის 10 აპრილიდან 19 აპრილის ჩათვლით.**
4. საკონკურსო განაცხადის ფორმა:

   -საკონკურსო განაცხადის ფორმა (დანართი 2) ითვალისწინებს ისეთი ინფორმაციის მიღებას კონკურსის მონაწილეებზე, როგორიცაა:

   ა) სამეწარმეო სუბიექტის ზოგადი მონაცემები

   ბ) სასურველი ერთი ან რამოდენიმე საკონკურსო ნომინაციის მითითება

   გ) რიგი საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლები 2017-2018 წლების ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით.
5. დროებითი საკონკურსო კომისია:

   - კომისიის წევრებს შორის მოვალეობებს ანაწილებს და მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.

   - კომისიის თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში მის უფლება-მოვალეობებს ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

   - კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ორი მესამედი.

   - კომისიამ სხდომებზე სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება მოიწვიოს პირი ან/და პირები, რომელთაც შეუძლიათ სასარგებლო ინფორმაციის მიწოდება კომისიისათვის;

   - კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები.

   - კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. თანაბარი ხმების შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კომისიის თავმჯდომარის ხმას;
6. საკონკურსო შედეგების შეფასება:
   - საკონკურსო განაცხადებს განიხილავს და ნომინაციების მიხედვით გამარჯვებულს გამოავლენს დროებითი საკონკურსო კომისია.
   - საკონკურსო შეფასება მოხდება ცალკეული ნომინაციების მიხედვით დადგენილი შეფასების შესაბამისად, მინიჭებული ქულებით.
   - გამარჯვებულები გამოვლინდება მინიჭებული ყველაზე მაღალი ქულების შესაბამისად.
   - კომისიას უფლება აქვს გადაამოწმოს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სხვა სახელმწიფო უწყებებში.
   - კონკურსზე წარდგენილი დოკუმენტაციის სისწორესა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია კონკურსის მონაწილე.
   - კომისიას უფლება აქვს ხმათა უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის შესახებ, თუ კომისიის მიერ გამოვლინდა კონკურსანტის მხრიდან

წინასწარი განზრახვით არასწორი ინფორმაციის წარდგენის ფაქტი ან სხვა რაიმე არაკეთილსინდისიერი ქმედება.

- თუ საკონკურსო კომისია მიიჩნევს, რომ კონკურსანტის მიერ წარდგენილი ინფორმაცია არ არის საკმარისი გადაწყვეტილების მისაღებად, კომისიის ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებით კონკურსანტს შეიძლება მიეცეს დამატებით დროდ არაუმეტეს 3 სამუშაო დღე აუცილებელი ინფორმაციის წარსადგენად.
- კომისია თავის მხრივ იღებს ვალდებულებას არ გაანდოს მესამე პირს კონკურსის მონაწილეთა ფინანსური მაჩვენებელი, მათი წერილობითი თანხმობის გარეშე;

7. გამარჯვებულების დაჯილდოვება:
   - გამარჯვებულები გამოვლინდება ცალკეული ნომინაციების მიხედვით
   - გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან დიპლომებითა და პრიზებით
   - კონკურსის ყველა მონაწილეს გადაეცემა მადლობის სიგელი
8. დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართება ქუთაისის საერთაშორისო ბიზნეს ფორუმზე 2019 წლის 04 მაისს.
9. **საკონკურსო ნომინაციები:**

9.1. წლის ქველმოქმედი

გამარჯვებულად გამოვლინდება კონკურსის ის მონაწილე, რომლის მიერ ქალაქ ქუთაისში 2018 წლის განმავლობაში კონკრეტული პირის/პირების, ან საზოგადოების სასარგებლოდ გაწეული, დოკუმენტურად დადასტურებული ქველმოქმედების ოდენობის (ფულად მაჩვენებლებში) ხვედრითი წილი (%) მის საერთო შემოსავლებში ყველაზე მაღალია. ამ ნომინაციაში შეფასებისათვის კონკურსანტმა უნდა შეავსოს დანართიN2-ის 1 და 4 გრაფები.

9.2. წლის ექსპორტიორი

გამარჯვებულად გამოვლინდება კონკურსის ის მონაწილე, რომელიც რეგისტრირებულია ქალაქ ქუთაისში და ყველაზე მეტი ღირებულების ექსპორტი აქვს გადატვირთული საქართველოდან/ქუთაისიდან 2018 წლის განმავლობაში . ამ ნომინაციაში შეფასებისათვის კონკურსანტმა უნდა შეავსოს დანართიN2-ის 5 გრაფა.

9.3. წლის დამსაქმებელი

გამარჯვებულად გამოვლინდება კონკურსის მონაწილე ის კომპანია, რომელსაც 2018 წელს ანაზღაურებად პოზიციაზე ყველაზე მეტი დასაქმებული ჰყავდა ქალაქ ქუთაისში. ამ ნომინაციაში შეფასებისათვის კონკურსანტმა უნდა შეავსოს დანართიN2-ის 3 გრაფა.

9.4.წლის ქალი მეწარმე

ნომინაციაში მონაწილეობის უფლება აქვს იმ კომპანიებს, რომელთა ხელმძღვანელი, ან აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელი არის მდედრობითი სქესის. გამარჯვებულად გამოვლინდება კონკურსის მონაწილე ის კომპანია, რომელსაც ყველაზე მეტი ღირებულების პროდუქცია (მომსახურება/სამუშაო) აქვს რეალიზებული (საგადასახადო კოდექსის შესაბამისად გათვალისწინებული საშემოსავლო ან მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციით განსაზღვრული დასაბეგრი შემოსავალი) 2018 წლის განმავლობაში. ამ ნომინაციაში შეფასებისათვის კონკურსანტმა უნდა შეავსოს დანართიN2-ის 1 გრაფა..

9.5.წლის ინვესტორი

გამარჯვებულად გამოვლინდება კონკურსის მონაწილე ის კომპანია, რომელსაც ყველაზე მეტი ინვესტიცია ექნება განხორციელებული ქ. ქუთაისში 2018 წლის განმავლობაში (კონკურსის აღნიშნულ ნომინაციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია იმ კომპანიებსაც, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული ქუთაისში). ამ ნომინაციაში შეფასებისათვის კონკურსანტმა უნდა შეავსოს დანართიN2-ის 2 გრაფა.

9.6.ქუთაისის მერიის სპეციალური პრიზი

აღნიშნული ნომინაცია გადაეცემა იმ ბიზნეს სუბიექტს, რომელთა საქმიანობაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალაქ ქუთაისისათვის. ამ ნომინაციაში გადაწყვეტილება მიიღება დროებითი საკონკურსო კომისიის მიერ.

10. კონკურსში მონაწილეობის მსურველს კონკურსის პირობებთან დაკავშირებით კონსულტაციები შეუძლია გაიაროს საკონკურსო განაცხადების მიღების ვადებში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ეკონომიკური განვითარების განყოფილებაში. მისამართი: ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3, მე-4 სართული, ოთახი №407, 409 ან ტელეფონზე: (0431) 24 37 65;

გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი